



„სამართლიანი არჩევნების“ განცხადება ამომრჩეველთა სიების აუდიტთან დაკავშირებით

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) იწყებს ამომრჩეველთა სიების გადამოწმებას ქვეყნის მასშტაბით. სიების გადამოწმება ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „საქართველო: 2008 წლის არჩევნები, ამომრჩეველთა სიების დახვეწა“ ფარგლებში და დაფარავს საქართველოს 75 საარჩევნო ოლქს, გარდა კონფლიქტური ზონებისა.

სიების გადამოწმების ძირითადი მიზნებია: ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ სიების დახვეწის პროცესის მონიტორინგი. პროექტის კონკრეტული მიზანია: განახლებული ამომრჩეველთა სიების ხარისხის შეფასება.

ამომრჩეველთა სიების აუდიტის დროს შერჩეული იქნება რეპრეზენტატიული რაოდენობის რესპოდენტები ქვეყნის მასშტაბით. ოლქებში გადასამოწმებელი ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იქნება განსხვავებული, კონკრეტულ ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის პროპორციულად. მიღებული ინფორმაციით კი შესაძლებელი გახდება ამომრჩეველთა სიების საერთო ხარისხის დადგენა საქართველოს მასშტაბით. სავლელ სამუშაოების დროს ინფორმაციის მოსაპოვებლად ორგანიზაციის წარმომადგენლები გამოიყენებენ ორ მეთოდს: „სიიდან ამომრჩევლამდე“ და „ამომრჩევიდან სიამდე“.

პროექტის დასრულებისთანავე, „სამართლიანი არჩევნები“ გამართავს პრესკონფერენციას, სადაც საზოგადოებას გააცნობს სიების აუდიტის შედეგებს და მიაწვდის ინფორმაციას ამომრჩეველთა სიების ხარისხისა და ძირითადი მიგნებების შესახებ.

„სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს თითოეულ ამომრჩეველს მონაწილეობა მიიღოს სიების გადამოწმების პროცესში და ითანამშრომლოს ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. აღვნიშნავთ, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლებს ექნებათ პირადობის დამადასტურებელი და „სამართლიანი არჩევნების“ წევრობის მოწმობები.